

<p style="text-align: center;"><b>ავთო ვარაზის ნამუშევრები თიბისი გალერეაში და პროექტი „ქართული მხატვრობა“</b></p> <p><b>24 ოქტომბერს, 19:00 საათზე</b>, თიბისი ბანკის ორგანიზებით, თიბისი გალერეა (მარჯანიშვილის #7) ქართველი ფერმწერის, ავთო ვარაზის ნამუშევრების გამოფენასა და პროექტის „ქართული მხატვრობა“ პრეზენტაციას უმასპინძლებს.</p> <p>თიბისი ბანკმა კერძო კოლექციებში დაცულ, ვარაზის ცნობილ ტილოებს, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოუყარა თავი და ქართულ საზოგადოებას მისი დათვალიერების საშუალება მისცა.</p> <p>თიბისი გალერეაში 28 ოქტომბრის ჩათვლით, წარმოდგენილი იქნება მხატვრის უნიკალური, გამორჩეული ტილოები, რომლებიც მან სხვადასხვა დროსა და შემოქმედებით ეტაპზე შექმნა - პოპ-არტი „ჟიტანი“, „ბუკინისტის პორტრეტი“, „ნატურმორტი სურით და წიგნებით“, „ვიოლინო“, „ქრისტე“, „ქალიშვილი სავარძელში“ და ა.შ.</p> <p>ექპოზიცია პროექტ „ქართული მხატვრობის“ ფარგლებში იმართება. პროექტი ხელოვნების მოყვარულთ, საშუალებას მისცემს, თვეში ერთხელ შეიძინონ მე-19 საუკუნიდან თანამედროვეობამდე, გამოჩენილი ქართველი მხატვრების, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ალბომები. ყოველ მეოთხე ორშაბათს კი ალბომების პრეზენტაციასთან ერთად, თიბისი გალერეა წარმოადგენს ალბომში შესული მხატვრების ექსკლუზიურ გამოფენას.</p> <p>პროექტს ჯემალ ქარჩხაძის გამომცემლობა თიბისი ბანკსა და ჟურნალ “ტაბულასთან” ერთად ახორციელებს.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>◆ ფიზიკური პირების მომსახურება;</li> <li>◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;</li> <li>◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;</li> <li>◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;</li> <li>◆ ლიდერი დეპოზიტების ბაზარზე</li> <li>◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;</li> <li>◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;</li> <li>◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;</li> <li>◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;</li> <li>◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;</li> <li>◆ FitchRatings: B + and B</li> <li>◆ Moody’s: B1 and Ba 3</li> </ul>
---	--